საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

N 21
27/03/2020

21-07-4-202003271221

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №21
2020 წლის 27 მარტი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	ღრმაღელე-ორმეთი-ომფარეთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	3000000
2	სუფსა-წყალწმინდა შემოვლითი გზის რეაბილიტაცია	2500000
ჯამი		**5500000**